# მომავალი

—საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი—

№ 101 სამშაბათი, 29 დეკემბერი 1909 წ. № 101

გაზეთი „მ ო მ ა ვ ა ლ ი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ე რ თ ი წ ლ ი თ 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ს ფ ა ს ი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. [illegible]—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა [illegible] მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები [illegible] სახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ე რ თ ი შ ა უ რ ი. რედაქციის ადრესი: თფილისი, რუსის ქუჩა № 3.



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ცალკე ნომერი ერთი შაური „მ ო მ ა ვ ა ლ ი“ ცალკე ნომერი ერთი შაური

## მიიღება ხელის მოწერა 1019 წლისათვის.

**გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს:**

თფილისსა და თფილისს გარეთ: ერთი წლით 7 მანეთი, ნახევარი წლით 4 მან., საზღვარგარეთ: ერთი წლით 14 მან., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კაპ., თფილისს გარეთ 90 კაპ.

**ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა მ ი ი ღ ე ბ ა:**

თფილისში „მომავალი“-ს კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კვიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში—მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქ. კანტორაში.

რადგან ადრესების დამზადება ბევრ დროსა და შრომას მოითხოვს—იმ ხელის მომწერლებმა, რომელთაც მომავალი წლის 1 იანვრიდან სურთ გაზეთის მიღება, აუცილებლათ ამა წლის დეკემბრის გასვლამდე უნდა მოაწერონ ხელი.

რედაქციის ადრესი: რუსის ქ. № 3, ზემო სართული. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. «Шрома», Калистрату Конст. Цуладзе.

თფილისის სახაზინო თეატრი
საოპერო ამხანაგობა ანტონ ეიხენვალდის გამგეობით

## საშობაო რეპერტუარი

26 დეკემბრიდან 7 იანვრამდე.

სამშაბათს, 29 დეკემბერს
ბენეფისი ე. ვ. დე-ვოს, სობოლევასი „რომეო და ჯულიეტა.“

ოთხშაბათს, 30 დეკემბერს
„გამარჯვებული სიყვარულის სიმღერა».

ხუთშაბათს, 31 დეკემბერს
„კ ა მ ო რ რ ა“.

პარასკევს, 1 იანვარს 1910 წ.
დილით: ნერონი. საღამოს: „ევგენი ონეგინი“.

შაბათს, 2 იანვარს
ელენე ოსოვსკაიას საბენეფისოთ 1) „ბელოსნეჟკა“ 2) «კნიაზ იგორ“

კვირას, 3 იანვარს
დილით: „მეფის შვილი ივანე“ საღამოზე: „ტაისი“

ორშაბათს, 4 იანვარს
1) „პაიაცი“ 2) „კატორღის სიმღერები“

ოთხშაბათს, 6 იანვარს
დილით: „რუსალკა“ საღამოს: ი. მ. არდის საბენეფისოთ „კარმენ“

## გლეხი კაცის ისტორია

მიიღება ხელის მოწერა

„გლეხი-კაცის ისტორია“-ზე

ცნობილი თხზულება ერკმან-შატრიანისა. სრული თარგმანი ფრანგულიდან ივ. მაჭავარიანის მიერ, ავტორთა სურათებით და მათი ბიოგრაფიული ცნობებით.

**შ ი ნ ა ა რ ს ი წ ი გ ნ ი ს ა:**

ნაწილი პირველი—1789 წ. საერო კრება.
ნაწილი მეორე—1792 წ. სამშობლოს განსაცდელი.
ნაწილი მესამე—1792 წ. წელიწადი პირველი რესპუბლიკისა.
ნაწილი მეოთხე—1789 წ. მამულიშვილი ბონაპარტი.

ოთხივე ნაწილი ერთ წიგნათ გამოვა დაახლოვებით 1100 გვერდამდე დიდი ფორმატის. ხელის-მოწერით ეღირება მხოლოდ **ერთი მანეთი**.

ხელის-მოწერა დაიწყო ამა 1909 წლის 15 ნოემბრიდან, გაგრძელდება 1-ლ იანვრამდე მომავალ 1910 წლისა. ხოლო ამ დღიდან შესწყდება ხელის-მოწერა და ორი კვირის შემდეგ წიგნის ბეჭდვას შევუდგებით. დაიბეჭდება **იმდენი, რამდენიც ხელის-მომწერი იქნება**.

ვისაც სურს ამ წიგნის შეძენა, უნდა ეცადოს უსათუოდ 1-ლ იანვრამდე მოაწეროს ხელი, ვინაიდან ეს წიგნი **ცალკე გასასყიდათ არ გამოვა**.

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ აგენტები არ გვყავს, ხელის-მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა უნდა გამოგზავნონ კიდევ ა თ ი შ ა უ რ ი ფოსტის ხარჯათ ე. ი. სულ 1 მ. 50 კ. თითო წიგნზე; ფულის მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნაც საგანგებო წერილით. (зак. письмо). გამომცემლობა ეკიდება წიგნი დანიშნულ დროზე გამოსცეს. გამოცემის ტეხნიკური მხარე მტკიცე ნიადაგზე დავაყენეთ და ისეთი დაბრკოლება, როგორიც მოხდა „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსი“-ს გამოცემაზე, ამიერიდან აღარ განმეორდება. წიგნი დაახლოვებით პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის-მომწერთ.

თუ სად და ვისთან მიიღება ხელის მოწერა, ამის შესახებ იხილეთ ცალკე განცხადება, რომელიც «მომავალის“ და „დროები“-ს 6 დეკემბრის ნომრებთან ერთად დაურიგდა ხელის მომწერთ.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის-მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Василію Гадилія. Кирочная ул. № 9.

წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი“-ს გამგე ვასილ გადილია.
(20—17)

სამშაბათს, 29 დეკემბერს, კრუჟოკის დარბაზში საზოგადოება «განათლება» მართავს

## „ისტორიულ საღამოს“

წარმოდგენილი იქნება შემდეგი სურათები: 1) სემირამიდა დასტირის სომეხთა მეფეს „რაას“; 2) მეფე ალექსი ირჩევს საცოლეს; 3) მეფე ირაკლი II და დედოფალი დარეჯანი მიიღებენ იმერეთის მეფე სოლომონის დესპანებს; 4) სულთანის ჰარამხანა; 5) სიმშვენიერის თაყვანისცემა ძველ საბერძნეთში. სხვადასხვა ისტორიული ცეკვა. საუკეთესო ისტორიული ტანისამოსისთვის მიეცემათ პირველი და მეორე საჩუქარი.

„საღამოს“ დიასახლისი არის კნ. ვ. ალ. ჭავჭავაძისა (კოჯრის ქუჩა, № 9). ბილეთები იყიდება 26 დეკემბრიდან თვით „კრუჟოკში“. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

კბილის ექიმი
## ს. ვაშაყმაძე
დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.

ფ ე რ შ ა ლ ი
## ლეონტი ბარკალაია
დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფთა მიღება შუადღის 3—6 საათამდე.
ადრესი: გოგოლის ქუჩა, № 68.

წარმოდგენა 23. **ქართული თეატრი** აბონიმენტი 11.

ხუთშაბათს, 31 დეკემბერს 1909 წ. ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ქ-ნ ნ. კოლხიდელის მონაწილეობით ისტორიული პიესა ალ. სუმბათაშვილისა

## ღალატი

5 მოქმედებათ თარგ. გრ. ყიფშიძისა.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე.
შემდეგი წარმოდგენა—2 იანვარს.
მორიგი რეჟისორი ა. მესხი. რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.
დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

გარდაცვალებულის ქვირფასი ჩემი ბიძის მიხეილ ლევანის-ძე კობალაძის დამწუხრებულ ოჯახს ვუცხადებ ჩემს ღრმა მწუხარებას.
მირიან [illegible]ობალაძე.

კბილის ექიმი
## ი. შ. ჭანტურია
იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. საღამოთი 3—7 ს.
კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

ვ ი დ ე ბ.
## რემინგტონზე
ყოველნაირ გადასაბეჭდ საქმეებს. საქმეს ვასრულებ სუფთად და იაფ-ფასებში. ადრესი: წყნეთის ქუჩა, № 6, ბინა № 14.
მაშა ს—ძე. (7—4)

## მიხაილოვში
(ხაშურში) **იყიდება** ნახევარი სამი თვალი მაღაზიისა და სარდაფისა საუკეთესო ალაგზე. პირობები გაიგება სად. **გომში**. მ. გოგოტიშვილთან. ფულის ნახევარი მსურველთ შეუძლიათ იდროვონ 6 %. 5—4.

დ ქიათურაში კბილის ექიმი
## ე. ტ. ლორის-მელიქოვი
ღებულობს ავათმყოფებს დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე.
ადრესი: გ. გაჩეჩილაძის სახლი, ვოგზლის ახლოს.

„სორაპნის“ ამხ. გამოცემა.

**ქართველი და უცხოელი მწერლები**
მიიღება ხელის მოწერა
მეოთხე წიგნზე
## „ბანდებილი“
ლექსები და მოთხრობები.

წიგნი ჩვეულებრივი ფორმატის იქნება 225 გვ. და ხელის მომწერლებისთვის ეღირება 25 კაპეიკი კუპონიანა ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. ეს გამოცემა გაცილებით გაუმჯობესებული იქნება ყოველის მხრით წინანდელ ჩვენ გამოცემებზე. ხელის მოწერა მიიღება ყველა ჩვენ აგენტებთან პროვინციაში. ხელის მოწერა დაიწყება 15 დეკემბერს და გათავდება 25 იანვარს.

წიგნი ცალკე გასასყიდათ არ გამოვა
ვისაც სურს პირდაპირ დაბარება, მან უნდა გამოგზავნოს ფოსტის მარკები—40 კაპ. წიგნი გამოვა თებერვლის 25 რიცხვებში. (30—10)
ადრესი: Тифлисъ, Т—во «Сорапанъ».

იანვრის პირველ რიცხვებში 1910 წ. ქალ. **ბაქოში** გამოვა ქართულ ენაზე ყოველ კვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „მარცვალი“

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის
გაზეთის ფასი: ერთი წლით 3 მ. 20 კ.
„ „ ნახევარის „ 1 მ. 70 კ.
ცალკე ნომერი . . . . . 05 კ.

ყოველგვარი წერილები და აგრეთვე ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Баку, типографія Эриванцева, въ редакцію груз. газеты «МАРЦВАЛИ»
რედაქტორ-გამომც. ვ. გელოვანი.


## ტფილისი, 29 დეკემბერი

არც ერთ ისტორიულ ხანაში საზოგადოების სუსტი მხარეები, მისი ნაკლულევანება არ სჩანს ისე აშკარათ და მკაფიოთ, როგორც რეაქციის ხანაში. ბევრი ისეთი მოვლენა, რომელიც სხვა დროს სათაკილოთაა მიღებული და ვერც კი ბედავს დღის სინათლეზე გამოსვლას, აქ თამამათ ამცნობს ქვეყანას თავის არსებობას. ბევრი ბნელი პიროვნება, რომელიც საზოგადოების აღორძინების დროს სადმე სოროშია მიმალული, საზოგადოების დაძაბუნების ხანაში სცენაზე გამოდის მთავარ მომქმედ ძალათ და საქვეყნოთ, დაუფარავათ ეწევა თავის საგმირო მოქმედებას. ერთი სიტყვით, აქ სისაძაგლე და ბოროტება მოურიდებლათ ფარფაშობს ცხოვრების ასპარეზზე და საჯაროთ დღესასწაულობს თავის გამარჯვებას. აქ არაფერი არ არის დამალული.

მარა ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, რეაქციის გულახდილობის ერთი მხარეა. თუ გინდათ გაიგოთ რა აკლია საზოგადოების ახალ ძალებს, როგორია მათი ღირსება-ნაკლულევანება — დაუკვირდით მათ მოქმედებას, მათ სულის-კვეთებას რეაქციის დროს, თვალი ადევნეთ, როგორ და რა საშუალებებით უმკლავდება იგი გამარჯვებულ მტერს, რა ზომებს ღებულობს სასურველი მომავლის დასამყარებლათ. აქაც დაფარული არაფერი არ არის. ხშირათ, ეგრეთ წოდებული პროგრესიული წრეებიც უბრუნდებიან ძველ შეხედულებებს, რომლებიც ერთხელ უარყოფილათ და უვარგისათ იყო მიჩნეული მათ შორის. ძველის რესტავრაცია და ახალის დავიწყება აქაც ხშირი მოვლენა ხდება.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ ჩვენს ეგრეთ წოდებულ საზოგადოებაში, ერის კეთილდღეობაზე, ხალხის ინტერესებზე და სხვა ასეთ „მაღალ მატერიებზე“. ზოგიერთებმა ერის ჭირ-ვარამზე ზრუნვა, მისი ინტერესების დაცვა თავის მონოპოლიათ გამოაცხადეს და რომ კითხოთ კლასიური ბრძოლა, ეს „ვიწრო დოქტრინიორებისაგან“ მოგონილი ოცნება, კარგი ხანია რაც უარყვეს და შეუდგენ უფრო „ფართო და საყოველთაო“ ინტერესების დაცვას. ისინი წარა-მარა იმეორებენ იმ გაცვეთილ და ყალბ აზრს, რომელიც ასე გავრცელებულია გაბატონებულ კლასების წრეებში, თითქო მარტო მშრომელი კლასის ინტერესთა დაცვის აღიარება მოასწავებდეს ერის ინტერესების, მისი საჭიროების უკუგდებას. მართალია, თითონ ისინი განსაზღვრული საზოგადოებრივი კლასის შეხედულებაზე დგანან და მის ინტერესებს დიდის ენერგიით იცავენ ყოველი კანონიერი თუ უკანონო საშვალებებით, მარა თუ ეს „ჭკვიანი“ ხალხი მაინც ახერხებს კლასთა გარეშე დგომას, ეს საკვირველება, ალბათ, უნდა მიეწეროს მათ ფართო ბუნებას, რომელიც კლასიური ბრძოლის „ვიწრო“ თეორიას ვერ შეურიგდება! ამ ჯურის ადამიანებს კარგათ ეხერხებათ ჭრელ-ჭრელი და ლამაზი ფრაზებით ლაპარაკი, მარა სრულიად უძლური არიან, როცა კითხვა პრაქტიკულ ნიადაგზე ისმება. აქ საქმეა საჭირო, ხოლო ვინ არ იცის, რომ ჩვენს მჭლე ინტელიგენციას იგი სრულებით არ ეხერხება. თურმე ნუ იტყვით, ერის აშენება სიტყვით ადვილი საქმე ყოფილა, ხოლო საქმით კი ძნელი!

რა გვიშველის? რა ძალას უნდა დავეყრდნოთ, რომ თავი დავაღწიოთ დღევანდელ უნუგეშო მდგომარეობას და გამოვიდეთ კულტურული განვითარებისა და საზოგადოებრივი ძლიერების ფართო გზაზე?

ამ კითხვებზე თითქოს ყველასათვის მიცემული იყო პასუხი 1905 წელს—სახალხო მოძრაობის ძლიერების ხანაში. ამ დაუვიწყარ დროს გამოვიდა სცენაზე ჩვენი ხალხის დაბალი კლასები, მისი დაჩაგრული ნაწილი და მთელ ქვეყანას დაანახვა, თუ რა დაუშრეტელი ენერგიის წყაროა იგი, თუ რამდენი ძალა, გამბედაობა და საზოგადო საქმისთვის უანგარო თავდადება იმალება მასში. ეს დიადი მოძრაობა უტყუარი საბუთი იყო იმისა, რომ ჩვენი ერის სასიცოცხლო, მამოძრავებელი ძალა არის და იქნება მისი მშრომელი ნაწილი, ის, რომელსაც მაშინ ძლიერ ეარშიყებოდენ, ხოლო ეხლა, როცა იგი რეაქციონური ძალების იერიშით უკანა კუნჭულში მიდენეს, ყველა წიხლს ესვრის, უკეთეს შემთხვევაში, იმდენ ლმობიერებას იჩენენ მისდამი, რომ ღირსათ ხდიან თავიანთი მოწყალებისა. მარა, როგორც ვთქვით, ეს მხოლოდ უკეთეს შემთხვევაში! ისე კი, ყოველი ქონდრის კაცი თავის თავს მოვალეთ რაცხს კრილოვის ერთი პატივცემული ცხოველის არ იყოს, თითო წიხლი მაინც ესროლოს ამ ხელ-ფეხ შებორკილ ხალხს და ყოველი სისუსტისა და მავნებლობის მიზეზათ იგი გამოაცხადოს.

ასეთ პირობებში, ასეთ ატმოსფერაში ერთი ათათ და ასათ მართებს მშრომელ მასას თავის ძალების გაძლიერება-შემოკრება, რომ რამდენათ კი შესაძლებელი იქნება დღევანდელ პირობებში განაგრძოს თავის ეკლიანი გზა, მტერს მტრულათ დაუხვდეს, მოყვარეს მოყვრულათ. ძნელია დღევანდელ პირობებში მოქმედება, მარა როდის იყო მშრომელი ხალხის სავალი გზა ია-ვარდით ფენილი.

მაშ, მეტი მხნეობა, მეტი გამბედაობა, მეტი ენერგია, მეტი წინდახედულება—და მეტი სიფხიზლე. რამდენათ მტკიცე იქნება ამ მხრით მუშაობა, იმდენათ მალე გაირღვევ-დაინგრევა ის ზღუდე, რომელსაც დღეს შიგნით მოუმწყვდევია ჩვენი ხალხი და ასე დაუზოგველათ ანადგურებს მას...

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 დეკემბერი.

### სპარსეთი

**თეირანი.** გილიანის გუბერნატორათ დაინიშნა მოგაურ-ულ-მემალიკი. ახალი გუბერნატორი ახალ შემდგარ რაზმით რეშტში წავიდა.

მთავრობამ ოფიციალურათ აღკრძალა 1910 წლის 1 იანვრიდან სპარსეთიდან ანალანით შეღებილ ნოხების გატანა.

**თავრიზი.** რახიმ-ხანმა ეფრემს თავის რაზმით სერაბისკენ დაახევინა.

**თეირანი**. მინისტრთა კაბინეთმა მეჯლისის სხდომაზე დაადგინა იარაღი აყაროს ფიდაებს, რომ მსურველებს შეეძლოთ შემდეგ ახალ რეგულიარულ ჯარში შესვლა.

### ოსმალეთი

**კონსტანტინოპოლი.** მოვიდა ხავკი-ბეი კაბინეთის შესადგენათ. შეეგებენ გადამდგარ კაბინეთის წევრები, გენერალისსიმუსი მახმუდ-შევკეტ-ფაშა, ორივე პალატის დეპუტაცია, პროფესორები და უნივერსიტეტის 500 სტუდენტი მატარებელს კონსტიტუციონურ ჰიმნით შეხვდენ. ხავკი-ბეი სასახლეში წავიდა; უკეთუ ხავკი-ბეიმ დიდი ვეზირის ადგილი მიიღო კაბინეთი პარლამენტის ახალგაზრდა ოსმალთა უმრავლესობას შეუერთდება, რადგან ხავკი-ბეი ყოფილი პროფესორი, ახალგაზრდა ოსმალთა მრავალ მოღვაწეთა მასწავლებელი იყო.

### საზღვარ-გარეთ

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატის მომავალ არჩევნების გამო საზღვაო ლიგამ მოწოდება გამოსცა, რომლითაც აცხადებს, რომ ბრიტანეთის მთავრობას ზღვაზე საფრთხე მოელის ერთ ძლიერ სახელმწიფოსაგან და საჭიროა ძლიერი ფლოტის შექმნა. ლიგა ურჩევს ყველას ხმა მისცენ იმათ, რომლებიც ამ წინადადებას დაიცავენ.

**ბომბეი.** პუნში დაიჭირეს სამი დეკანი, მათ ბრალს სდებენ, რომ ნავიკის შეთქმულებაში მონაწილეობა მიიღეს. მათ ბრაუნინგის რევოლვერები და პატრონები აღმოაჩნდათ.

**ლონდონი.** ტოკიოს კორესპონდენტი იტყობინება 1 დეკემბრიდან, რომ გაზეთები გაცხარებით არჩევენ კორეის შეერთების საკითხს, რომელიც აღძრა საზოგადოება „ილჩიხ“-მა, პეტიცია გადასცეს კორეის იმპერატორს და იაპონიის გენერალ-პრეზიდენტს იაპონია დიდ მნიშვნელობას აძლევს ამ საკითხს. ნამდვილ წყაროებიდან იციან, რომ იაპონიის მთავრობას აზრათ არა აქვს მიიღოს რაიმე ზომები კორეის შეერთების შესახებ. საზოგადო აზრი არ თანაუგრძნობს შემოერთებას.

**ვაშინგტონი.** პრეზიდენტი ტაფტი ურჩევს კონგრესს დაარსდეს განსაკუთრებული სამოსამართლო პალატა შტატებ შორის რკინის გზის საქმეთა გასარჩევათ.

### რუსეთი

**ჰელსინგფორსი.** აქაურმა ვექილებმა მსჯელობა იქონიეს სენატის მიერ შემუშავებულ და უმაღლესათ დამტკიცებულ 1910 წლისთვის დროებით გადასახადების შესახებ. უმრავლესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ როცა სასამართლოში და სხვა დაწესებულებებში ქაღალდს შეიტანენ გერბის მარკა მხოლოდ მაშინ დააკრან, როცა ამას კატეგორიულათ მოსთხოვენ. ხოლო შემდეგში მათ შეუძლიათ სასამართლოს წესით უკანვე მოითხოვონ მარკების ფული.

**გროდნო.** კრაბის ფაბრიკის კანტორაში მუშებს ფულებს ურიგებდენ, შეიჭრა ორი შეიარაღებული უცნობი, გაიტაცეს 378 მანეთი და გაიქცენ.

**პენზა.** გუშინ საეპარქიო სანთლის ქარხნის დუქანში შეიჭრა ორი უცნობი, წაართვეს კასირს 162 მანეთი და გაიქცენ.

**კიევი.** დიდი თოვლის გამო რკინის გზებზე მოძრაობა შეფერხდა.

მარილის საწყობს ცეცხლი გაუჩნდა. ზარალი 300,000 მანეთამდეა.

**პონევეჟი.** დაიჭირეს ცნობილი ავაზაკი, ცხენების ქურდი, შევჩენკო.

**რიგა.** „რუსკაია ბესედა“-ს აზრათ აქვს მოახდინოს ფინლიანდიის გუბერნიის რუსთა საზოგადოების და პოლიტიკურ პარტიების სიეზდი სხვადასხვა საკითხების გადასაწყვეტათ.

**სიზრანი.** ღამის 1 პირველ საათზე დაიწვა ქალაქის თეატრი.

**ჰელსინგფორსი.** ფაბანის ქუჩაზე ყაზარმის წინ მდგომ კაზაკს თოფი ესროლეს, მაგრამ ტყვია ასცდა. გამოძიება სწარმოებს.

**პეტერბურგი**. გუშინ დიდი მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის ეზოში ეტლების სადგომში ბენზინი აფეთქდა და ცეცხლი გაჩნდა. დაიწვა უფროსი მონტერი და კუჩერი. ცეცხლი საწყობზე გადავიდა და სასახლის სხვა ოთახებზე. დაიწვა ყველა ეკიპაჟები, მატორი, ბუფეტის და სხვა ოთახები და სამრეცხლო.

**ადესა.** რაზუმოვის ქუჩაზე ჩხრეკის დროს აღმოაჩინეს ათ გირვანქიანი ყუმბარა. დაიჭირეს ორი კაცი.

**ჰელსინგფორსი.** გაზეთ „ჰელსინინ სანომატი“-ს სიტყვით ვილაც შრედერი გამოტყდა, რომ ფინლიანდიაში მისი შემწეობით შეიტანეს იარაღი. ოთხი ყუთი რომელიც შრედერის სახელზე მოვიდა დამოჟნაში ინახება.

**კიევი**. ცოფიანმა ძაღლმა დაკბინა პროფესიონალური შკოლის 35 მოწაფე და მასწავლებელი ქალი. შკოლა დაიხურა.

## წერილები ლონდონიდან

—

მე უკვე დავახასიათე ინგლისის ორ დიდ ბურჟუაზიულ პარტიათა—ლიბერალების და კონსერვატორების—პლატფორმა მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე. იქვე მოვიხსენიე გაკვრით ირლანდიის ნაციონალურ პარტიის პოზიცია. ახლა დაგვრჩა მუშათა ორგანიზაციების პოზიციის გათვალისწინება იმავე არჩევანებზე.

უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას ის, რომ მუშათა პოლიტიკურათ ჩამოყალიბების პროცესი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა ინგლისში. ცნობილია ის, რომ მუშათა პროფესიონალების—ტრედ-უნიონისტების—დიდი ორგანიზაცია ამ რამდენიმე წლის უკან სულაც კი გაურბოდა პოლიტიკას და ხსნას მარტო ეკონომიურ ბრძოლისგან გამოელოდა იგი. ეკონომიზმით ასეთი გატაცება არაჩვეულებრივ ხანგრძლივი გამოდგა ინგლისში და ეს გამოწვეული იყო არსებულ განსაკუთრებულ პირობებისაგან. მაგრამ ყველას თავისი ბოლოაქვს, და ინგლისის ტრედ-უნიონისტებიც იძულებული გახდენ მიემართნათ პოლიტიკისთვის; რასაც დიდათ შეუწყვეს ხელი ორმა სოციალისტურმა პარტიებმა: დამოუკიდებელი მუშათა პარტია და სოციალდემოკრატიული პარტია. აქვე უნდა მოვიხსენოთ ფაბიანთა სოციალისტური საზოგადოება, რომელიც დაუღალავათ ავრცელებს ახალ იდეებს უფრო ინტელიგენტურ წრეებში.

პირველათ შედგა ეგრ. წოდ. საპარლამენტო კომიტეტი, რომელიც ექვემდებარება ტრედ-უნიონისტთა კონგრესებს და რომელიც შუამავალია მუშებ და მთავრობა-პარტიათა შორის პირველთა მოთხოვნების წარსადგენათ და გასაყვანათ. მაგრამ ჩქარა აღმოჩნდა, რომ კომიტეტი არა კმაროდა; საჭირო შეიქნა თვით მუშების კანდიდატების სათემო პალატაში გაყვანა, რაიც უორგანიზაციოთ არ შეიძლებოდა. გარნა სათემო პალატაში კაი ხანია, რაც მუშათა-დეპუტატები სხედან, მაგრამ ისინი მიწერილ და გაყვანილ იყვენ ლიბერალურ პარტიისაგან, რომლის დირექტივებსაც ისინი ემორჩილებოდენ. ამ გვარათ, დაარსდა ახალი მუშათა პარტია, რომელშიც ჩაწერილია ტრედ-უნიონისტთა დიდი უმრავლესობა. თუ გნებავთ, ეს ორგანიზაცია უდიდესი პარტიაა მსოფლიოში, ვინაიდან მასში ითვლება $1\frac{1}{2}$ მილიონი წევრი! (გერმანიის ს. დ.-ში მხოლოდ 600 ათასი ითვლება). მაგრამ მას არ დაეძახება წმინდა პოლიტიკური პარტია ჯერ-ჯერობით, რადგან მისი ბატონ-პატრონი ტრედ-უნიონისტთა კონგრესია და მისი დანიშნულება მხოლოდ ლა არჩევნების. მოწესრიგებაა მეტი არაფერი. ასე გაშინჯეთ, მას არა აქვს საკუთარი პოლიტიკური პროგრამაც და თუმცა სოციალიზმს არ გაურბის, მაგრამ თავის დროშაზე მის წარწერას მეტათ სთვლის. მასში თავიდანვე ითვლებოდენ დამოუკიდებელი პარტია და სოციალდემოკრატია, მაგრამ ვინაიდან მან არ ინდომა სოციალისტურ პროგრამის თავისათ აღიარება, უკანასკნელი (ს. დ.), სამწუხაროთ, ჩამოშორდა მას. მუშათა პარტია ჩაწერილია ინტერნაციონალში.

და აი, როცა კითხვა მუშათა საარჩევნო პლატფორმას ეხება, ჩვენი მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ტრედ-უნიონისტთა მუშათა პარტიას, რომელმაც პირველათ 1906 წელს 33 თავის დეპუტატი გაიყვანა სათემო პალატაში. როგორც ვიცით, დღევანდელი საპარლამენტო კრიზისი გამოწვეულია ლორდთა პალატის თვითნებობისგან,—მაშასადამე, საყურადღებოა, როგორ მიეგება მუშათა პარტია უკანასკნელს. ტრედ-უნიონისტთა კონგრესმა არა ერთხელ გამოაცხადა საჯაროთ, რომ ის სასტიკი მტერია დრომოჭმული და პრივილეგიურ ლორდთა პალატისა და ამიტომ მის სრულიად გაუქმებას მოითხოვდა მუდამ. ამისდა მიხედვით მუშათა პარტიის აღმასრულებელმა ორგანომ დაადგინა ერთ თავის სხდომაზე, რომ „ხალხის თავისუფლებათა უზრუნველსაყოფელათ აუცილებელია ზედა პალატის სრულიად გაუქმება“. არ გასულა რამდენიმე დღე და მუშათა პარტიის სახელით გამოშვებულ იქნა მანიფესტი, რომლის რეზოლიუტივური მუხლები საარჩევნო პლატფორმად უნდა ჩაითვალონ. აი ამ მანიფესტის მთავარი ადგილები სიტყვა-სიტყვით: „დიდი კითხვა, რომელიც თქვენ უნდა გადაწყვიტოთ,—მიმართავს პარტია ამრჩეველთ—არის: ვინ უნდა იბატონოს ინგლისში, ლორდებმა თუ ხალხმა? სახელმწიფომ მიანება მიწათ-მფლობელთ ყოველ წლივ მილიონები ჩაემუცლათ მიწა-ადგილის დაუმსახურებელ ზედმეტ ფასის სახით, და, მიუხედავათ ამისა, მათ არ ინებეს მცირე გადასახადის გამოღება ისეთ რამეზე, რომელიც სამართლით მთლათ სახელმწიფოს უნდა ეკუთვნოდეს. მათ უნდათ ხალხის გაყვლეფის ძალა-უფლება კვლავ და ყოველ მიზეზის გარეშე შეინარჩუნონ. ჩვენმა დღევანდელმა სისტემამ მიწათ-მფლობელ ობისა გააუკრანა სოფელი, ჩვენს მრეწველობას მძიმე ტვირთი აკიდა ზურგზე, ჩვენი ქალაქთა განვითარება შეაფერხა, კაპიტალი შებოჭა და მუშებს სისხლი ამოსწოვა! შორს ლორდები!“ აღნიშნავს რა სათემო პალატის და ხალხის უფლებათა ლორდთა პალატის მიერ უზურპაციის, მანიფესტი ათავებს: „უკანასკნელ ოთხი წლის გამოცდილებამ დაგვიმტკიცა დამოუკიდებლათ მოქმედ მუშათა პარტიის დიდი ღირსება. ჯერ კიდევ დარჩა ბევრი გადასაჭრელი კითხვები. ჯერ კიდევ გვჭირია მოვიპოვოთ უფლება შრომაზე, რომელიც უკვე პრაქტიკულ პოლიტიკის სფერაში სძევს. ღარიბთა კანონი უნდა შეცვლილ იქნას, პაუპერიზმი მოსპობილი. მოხუცთა პენსია გაფართოვებულ უნდა იქნეს მუშებზე ხარჯის გაუწერლათ, როგორც ეს დედა აზრი უკვე გატარებულია მიღებულ კანონში. საარჩევნო შეზღუდვანი, აგრეთვე ქალთა დამცირება ამ მხრივ უნდა გაჰქრეს. მუშათა კლასი და წვრილი მოქალაქენი ჯერ ისევ კვნესიან მძიმე გადასახადებს ქვეშ. ყველა ეს პრობლემანი თხოულობენ მოქმედ, გაბედულ და დამოუკიდებელ პარტიის მზრუნველობას, რომელიც (პარტია) გამოდის ხალხიდან და მუდამ ხალხთან უნდა იყოს. ამიტომ მუშათა პარტია მოგმართავთ თქვენ განუახლოთ მას თქვენი ნდობა, მისი წყებანი გაადიდოთ და მისი ძალა განამტკიცოთ. მიწა ხალხისთვის! სიმდიდრე სიმდიდრის წარმომშობთ! ძირს პრივილეგიები! გაუმარჯოს ხალხს!“

როგორც ხედავთ, მანიფესტი ძალიან მკვირცხლია და თითქმის სოციალისტური, მაგრამ, სამწუხაროთ, ის არ იძლევა გარკვეულ პასუხს დღევანდელ საჭირბოროტო და მთავარ კითხვაზე: როგორი სვე-ბედი უნდა ეწვიოს ლორდთა პალატას? მართალია, ის სასტიკათ ილაშქრებს მის წინააღმდეგ, მაგრამ ეს უფრო კრიტიკაა, ხოლო რაც შეეხება მისი სრულიად გაუქმების საპლატფორმოთ გამოცხადებას, იგი სდუმს, და არც მავიწყრობით მოსდის ეს მას. ასეთი ტაქტიკა მას ჩაუჩურჩულა ყურში სათემო პალატის ფრაქციამ, რომელიც ტონის მიმცემია აღმასრულებელ ორგანოში და რომელიც თვით პარტიაზე გაცილებით ზომიერია.

მაგრამ არის უფრო მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომელიც აფერხებდა მუშათა პარტიის საჭირო რადიკალობას. მომავალ არჩევნებში კაი ძალია ეგრ. წ. „სამ-კუთხიანი“ ოლქები, სადაც უპირდაპირდებიან ერთმანეთს სამი კანდიდატი: კონსერვატორთა, ლიბერალთა და მუშების. ასეთ შემთხვევებში ორი უკანასკნელი ურთიერთ დათმობის ტაქტიკას უნდა დაადგეს, უამისოთ მათი ძალთა დაქსაქსვა კონსერვატორს გაიყვანს დეპუტატათ. აქ არჩევნებს უბრალო უმრავლესობა სწყვეტს და ხელმეორე კენჭაობა სულაც არაა. თუ მუშათა პარტიამ ლორდთა პალატის გაუქმება საპლატფორმო მუხლათ გამოაცხადა, მაშინ იგი იძულებულია ლიბერალებთან დათმობას სწორეთ ეს მუხლი დაუდვას საფუძვლათ. ასე შორს კი ლიბერალები არ მიდიან, როგორც ვიცით, და აქედან იგივე უთანხმოება იბადება, რომელიც კონსერვატორთ გამოადგებათ. ლიბერალები და მათზე არა ნაკლებ მუშათა პარტია მოწადინებული არიან „სამ-კუთხიანი“ ოლქები მინიმუმზე დაიყვანონ, რის გამო ერთიც და მეორეც წინდაწინვე ხსნიან თავიანთ კანდიდატურათ, რომ საერთო ძალით კონსერვატორნი დაამარცხონ და ერთ-ერთი თავის კანდიდატი გაიყვანონ. ეს ცდა მეტ-ნაკლებობით კეთილათ ბოლოვდება, ხოლო რაც შეეხება ხსენებულ ორ პარტიათა შორის ვითომდა ოფიციალურ ბლოკს ან დამოუკიდებლობის დაკარგვას მუშათა პარტიის მიერ, ეს კადეტების მწერალთა მოჭორილი ამბავია. მუშათა პარტიას ნაკლულევანებანი ისედაც საკმაო აქვს და აქედან მათი ხელოვნურათ გამრავლება მეტია. ყოველ შემთხვევაში, როგორც ირკვევა, ხსენებულ დათმობის გზაზე უფრო ლიბერალები იგემებენ, ვინემ მუშათა პარტია. უკანასკნელმა უკვე გამოაქვეყნა კანდიდატთა სია, რომელიც უდრის 78-ს.

აღსანიშნავია ერთი საყურადღებო ამბავიც. აქამდისინ მუშათა პარტიაში დარჩენილია ერთი არანორმალური ჩვეულება. ზოგი დეპუტატნი, რომელნიც გაყვანილია და ინახება მუშათა პარტიის ხარჯზე, ამ უკანასკნელის წევრობას არც კი კადრულობენ და ლიბერალურ მუშა-დეპუტატთა ჯგუფში ირიცხებიან! ამ ანაქრონიზმს სისტემატიურათ ებრძვის პარტია ამ უკანასკნელათ. მან აიძულა დეპუტატნი პარტიის კონსტიტუციაზე მოეწერათ ხელი, უამისოთ სიიდან ამოშლას დაემუქრა მათ. კანდიდატთა უმცირესობამ იუკადრისა ასეთი „ძალმომრეობა“!—და ამიტომ ისინი სიიდან გაბრძანებულ იქნენ. ერთი მათგანი იყო რკინის გზის მომუშავეთა ტრედ-უნიონის მთავარი მდივანი რიჩარდ ბელლი, რომელიც თავის უმზგავსო და გამცემურ ტაქტიკით სათემო პალატაში მართლაც კისრის-მომჭრელი ვინმე იყო.

მე არას ვიტყვი დამოუკიდებელ მუშათა პარტიაზე, რადგან მისი წევრნი კაირ ჰარდი, რამზეი მაკდონალდი და სხვანი მუშათა პარტიას გაჰყავს სათემო პალატაში. ეს პარტია (დამოუკ.) ულტრა-რეფორმისტულია.

არც სოციალდემოკრატიაზე შეიძლება ბევრი რამეს თქმა. ის განზე სდგას, როგორც ვთქვი, და მუშათა პარტია არ ეხმარება მას; ისე კი რიცხვით სუსტია და ერთი დეპუტატიც არა ჰყავს პალატაში. ერთი ცნობილი დეპუტატი უილიამ ტორნი მისი წევრია, მაგრამ ის ტრედ-უნიონისტის ფირმით არის გაყვანილი მუშათა პარტიისაგან. სოციალდემოკრატია თავის მანიფესტში სვამს წერტილებს ი—ზე, ე. ი. ლორდთა პალატის გაუქმებას მოითხოვს. მან სიღარიბის გამო წამოაყენა მხოლოდ რვა კანდიდატი, მათ შორის ცნობილი ჰაიდმანი და კუელჩი. ა. ჩ.

## ახალი ამბები

—

◆ **გარეთ კახეთი გაიყიდა.** გარეთ კახეთში, ივრის ხეობაზე, რუსის გლეხები ბევრ ადგილებს იძენენ, ეხლა უკვე დასრულდა აქ ადგილების გაყიდვა და თავისუფალი მიწა თითქმის აღარ მოიპოვება. ეჭვი არ არის, რუსის გლეხებს ვილაცეები ეხმარებიან მამულის შეძენაში და ფულს აძლევენ. რუსებმა ხელში ჩაიგდეს ის ადგილები, რომელსაც კახეთის მომავალი რკინის გზა გადასჭრის. სულ მცირე ხნის განმავლობაში ნავთლუღის სადგურის მახლობლადაც იყიდეს რუსებმა მამული და დასახლდენ. სადგურ კაკაბეთთან 2500 დესეტინა მიწა გაჰყიდა ამას წინად სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა მარშალმა. ესეც რუსებმა შეიძინეს და მალე იქ დიდი სოფელი გაიშლება. აქედან წვრილ მემამულეთა ადგილებია. შემდეგ მდებარეობს მამული თავ. ნიკოლოზ აბაშიძისა, რომელმაც აგრეთვე რუსებზე გაასაღა ეს მამული. როგორც წინათ აღვნიშნე, თ თავ. ნ. აბაშიძემ არა მარტო თავისი ადგილები გაასაღა, აგენტობას[illegible]-კი ეწევა მემამულეთა და რუს გლეხთა შორის. თავ. აბაშიძის ადგილების გვერდით არის გენერლის თავ. ივ. მაყაშვილის ადგილი, 1,000 დესეტინამდე. [illegible] ეს ადგილი რუსებმა შეიძინეს. [illegible] კარგი ადგილი [illegible] თავ. ლევან ანდრონიკაშვილისა 2,000 დესეტინამდე. რადგან თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო კამისიამ ყურადღება არ მიაქცია თავ. ლ. ანდრონიკაშვილის მუდარას ამ ადგილის გაყიდვაში დახმარების შესახებ, ადგა და ანდრონიკაშვილმაც რუსებთან დაიჭირა საქმე. დესეტინას გაურიგდა 100 მანეთად. საბუთის ქაღალდებზე სავლეხო ბანკში რუსის გლეხები და თავ. ანდრონიკაშვილი 10 იანვრამდე მოაწერენ ხელს. („დრ.“)

◆ **პანაშვიდი.** შაბათს, 26 დეკემბერს, ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკკლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი მე-2 სახელმწიფო დუმის გადაცვალებულის წევრის, არჩილ ლ. ჯაფარიძის მოსახსენებლათ. პანაშვიდს ხალხი ბლომათ დაესწრო: ნათესავები, ამხანაგები და გადაცვალებულის ბევრი პატივისმცემელნი.

◆ **ახალი კლუბი.** 27 დეკემბერს შესდგა ახალი „კლუბის წევრთა“ კრება. მიიღეს 200 ახალი წევრი. გადასწყდა, კლუბის შენობა ქართულ თეატრის გვერდით დაიჭირონ. საწევრო ფული 10 მანეთია.

◆ **ექსკურსია.** 27 დეკემბერს თფილისში საექსკურსიოთ ჩამოვიდენ ერევნის საქალებო გიმნაზიის მე-7 და 8 კლასის მოსწავლეები, რომელთაც თან ახლავთ გიმნაზიის მასწავლებლები და ექიმი პ. არხანგელსკი. დაათვალიერებენ თფილისის ღირს-შესანიშნავ ადგილებს და ერევანში დღეს დაბრუნდებიან.

◆ **უფასო ბილეთების შემცირება.** მომავალ წლიდან, როგორც უსახელო საზ. დირექციას დაუდგენია, უფასო ბილეთების რიცხვს შესამჩნევათ შეამცირებენ. უფასო ბილეთების რიცხვი ამ ჟამათ 1,800-დე აღის.

◆ **ტრამვაის კასა** რადგან ტრამვაის კასა ამ ჟამათ ქესატათაა, ამიტომ ტრამვაის დირექტორმა ბატაილიმ ქალაქის გამგეობას სთხოვა ტრამვაის ჯარიმა 13,155 მ. გირაო ფულებიდან აიღოს.

◆ **მასწავლებელთათვის თავშესაფარი.** მომავალ წლის დასაწყისში თფილისის სასტატო ინსტიტუტთან აზრათ აქვთ დააარსონ მასწავლებელთათვის თავშესაფარი. თფილისში ჩამოსულ პროვინციელ მასწავლებლებს ნება ეძლევათ ამ სახლში დროებით იცხოვრონ.

◆ **სოფლების შუამდგომლობა.** ქუთაისის მაზრის, სოფელ საჩინოს მცხოვრებთ შუამდგომლობა აღუძრავთ მთავრობის წინაშე, რათა ნება დართონ მათ მდ. გუბი-წყალზე თავის ხარჯით და რამოდენიმეთ მთავრობის მიერ დახმარებით ხიდი ააგონ. ამასთანავე რკინის გზის მთავრობასაც სთხოვენ, ამ საქმისათვის უფასოთ დაუთმონ რიონის ძველი ხიდის რკინის მასალა, რომელიც ამ ჟამათ სადგურ რიონზე ინახება და ჟანგი აგუჭებს. ამ ხიდის აგებას კავშირი აქვს ს. თიანეთში რკინის გზის ბაქანის „გუბის“ სადგურათ გადაკეთების საქმესთან.

◆ **მასწავლებლის სურათი სასწავლებელში.** ს. იანეთის მცხოვრებთ (ქუთაისის მაზრა) შუამდგომლობა აღუძრავს ვისთანაც ჯერ არს, სკოლის შენობაში თავის ყოფილ მასწავლებლის, აწ უკვე გადაცვალებულ ე. კობრეიძის სურათი გამოკიდონ.

◆ **სახადი.** თფილისში ამბები მოდის, რომ ბორჩალოს მაზრის, ს. ბეკტაკარაში სახადი გაჩენილა. ავათმყოფობის წინააღმდეგ ზომებია მიღებული.

◆ **სამადლობელი დეპეშა.** „არტისტიულმა საზოგადოებამ“ სამადლობელი დეპეშა მიიღო დიდი მთავარ ნიკოლოზ მიხეილის-ძისაგან პასუხათ იმ დეპეშაზე, რომელიც არტისტიულ საზოგადოებამ გაგზავნა პეტერბურგს დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის-ძის გარდაცვალების გამო.

◆ **სამსახურიდან დათხოვა.** მე-12 საპოლიციო უბნის ბოქაული როკოგანი სამსახურიდან დათხოვილია.

◆ **მკვლელის შეპყრობა.** 27 დეკემბერს პოლიციამ შეიპყრო ი. კაჩაურის მკვლელი, ყაზახის მაზრის მცხოვრები ნ. მ. მხიტაროვი, რომელიც 24 დეკემბერს, მკვლელობის ჩადენის შემდეგ, მიიმალა.

◆ **სტუდენტი—აფერისტი.** გაზ. „ო. ნ.“-ში სტუდენტი ვ. ვ. მდივანი სწერს:

„ვიღაც სტუდენტი, რომელიც თავის თავს ქართველს უწოდებს, დადის და ქართველ-სტუდენტების სახელით შემოწირულებს აგროვებს ვითომ და ქართველ ღარიბ სტუდენტების სასარგებლოთ. შემოწირულებათა შეგროვების მიზეზათ იმას ასახელებს, რომ წელს ოდესაში ჩვეულებრივი ქართული საღამო არ შემდგარაო. ვაცხადებთ, რომ, ჩვენ, ქართველ სტუდენტებს არავისთვის დავალება არ მიგვიცია შემოწირულება ეგროვებია და, მიტომაც სტუდენტი—აფერისტი სასჯელის ღირსია. ვსთხოვთ იმ პირთ, ვისაც ხსენებულ სტუდენტისათვის რამე დახმარება მიუცია, თავისი ადრესი გვაცნობოს".

✦ **დრამატურგი თავ. სუმბათაშვილის პატივისცემა.** ამ დღეებში საიმპერატორო პატარა თეატრის არტისტების დასმა პატივი სცა დრამატურგ თ. სუმბათაშვილს. ამ გვარ პატივის ცემით არტისტთა დასს უნდოდა თავისს ხელმძღვანელისათვის ეთქვა, რომ მას თავისი თანამდებობა არ დაეტოვებია და დასის ხელმძღვანელათ დარჩენილიყო; სუმბათაშვილს, როგორც გაზეთები გადმოგვცემს, არტ. დასიდან გასვლა უნდოდა, იმის გამო, რომ მისი სურვილის წინააღმდეგ თეატრის ადმინისტრაციამ რეპერტუარიდან „ანფისა" გამორიცხა. ბანკეტზე წარმოთქმულ იქნა რამდენიმე სიტყვა. ბანკეტი თეატრის ადმინისტრაციის საპროტესტოთ იყო გამართული.

✦ **თოვლი.** ქუთ. გუბერნიდან გვატყობინებენ, რომ იქ 25 დეკემბერს, ლამით თოვლი მოსულა.

✦ **მოკლულის პოვნა.** 27 დეკემბერს ს. დიდი დილის მახლობლათ, თფ. მაზრაში, ტყეში იპოვეს მოკლული კაცი, რომელსაც აღმოაჩნდა თფილისის პოლიცმეისტრის მიერ მიცემული მოწმობა მ. კაზარიანცის სახელობაზე.

---

**ქუთაისი.** 21 დეკემბერს ადგილობრივმა კერძო ქალთა კაუხჩევის გიმნაზიის პედაგოგიურმა პერსონალმა სასწავლებლის 10 წლის არსებობა აღნიშნა სალიტერატურო საღამოს გამართვით. საღამოს მრავალი გარეშე პირებიც დაესწრო.

— 26 დეკემბერს საკათედრო ტაძარში გადაიხადეს წლის პანაშვიდი მე-2 სახელ. სათათბიროს დეპუტატის განსვენებულ არჩილ ჯაფარიძის სულის მოსახსენებლათ.

— 19 დეკემბერს ქალაქის საბჭოს დარბაზში სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის მიერ დანიშნული იყო ლექტორების კრება სხვადასხვა საგნებში სექციების შესადგენათ. 45 მოწვეულ პირთაგან კრებაზე გამოცხადდა 18. დამსწრე პირებმა იკისრეს მომავალი კრებისთვის, რომელიც დანიშნულია 26 დეკემბერს, საბჭოს დარბაზშივე, შეადგინონ პროგრამები თავიანთ სპეციალურ საგნებში და შეუდგნენ სისტემატიურ ლექციების კითხვას.

— ბ-ნთ ოცხელის, მთავრიშვილის და სამ. ყიფიანის მიერ შედგენილი ქართული ქრისტომატია „ჯუთანი", კავკასიის სამოსწავლო მთავრობას მოუწონებია და ნება დაურთავს ამ წიგნის სახელმძღვანელოთ ხმარებისა სახალხო სასწავლებლებში.

— ამავე დღეს ქუთაისის სადგურის ჟანდარმთა როტმისტრის მეთაურობით გაჩხრიკეს რიონისა და ქუთაისის სადგურის მოიჯარადრე ნოე ძნელაძე და მოსამსახურეები: ალექსანდრე და კოლია ცაგარლები, საწინააღმდეგო ვერაფერი აღმოუჩინეს. დაპერილები ქუთაისის სატუსაღოში გაგზავნეს.

— 20 დეკ. მალხაზოვმა წაიკითხა ლექცია ანდრევის ანათემაზე და ანივისზე. ხალხი ბლომათ დაესწრო.

— ლეჩხუმის მაზრის სოფელ ოყურეშიდან გვატყობინებენ, რომ იქ ბოროტ-განმზრახველებს გაუტეხიათ ეკკლესია და გაუტაცნიათ ძვირფასი ნივთები. ამ საქმის გამო დაუპატიმრებიათ ორი სამრევლო შკოლის მასწავლებელი.

— გარდაცვლილა მე-4 რაიონის სახალხო შკოლების ინსპექტორი იზმაილოვი. განსვენებული ერთი შავრაზმულ გაზეთების გამავრცელებელთაგანი იყო ზუგდიდის მაზრაში. ამ ბოლო დროს ქართულ ენასაც სდევნიდა ზუგ. დიდის სამეგრელოს შკოლებიდან.

# წერილები სპარსეთიდან

23

**თავრიზის და თეირანის სატუსაღოები.**

თავრიზის სატუსაღო მოთავსებულია იმ სახლის ეზოში, სადაც მამად ალი შახი ტახტზე ასვლამდე ცხოვრობდა. სასახლეს გარს მაღალი კედელი აქვს შემოვლებული და ორათაა გაყოფილი შიგნიდან. პირველი განყოფილება მეფისთვის არის, მეორეში გარემია მოთავსებული. აქ უთვალავ-უანგარიშო პატარა ოთახებია ქალებისათვის. ეს ოთახები საუცხოვოთ არის მოხატული, ლამაზი ფრინველის სურათებით და ქალების ქანდაკებით. ეზოში დიდი აუზებია საბანებლათ...

მეორე განყოფილებაში მამად ალი ცხოვრობდა. წინ განიერ ეზოში თალია, ცოტა მოშორებით სახლია აშენებული სასახლის მუსიკისათვის. აღმოსავლეთ სამხრეთით შიგ ეზოში საყარაულოს გვერდით დიდი განყოფილება სატუსაღოთ არის მოწყობილი. პატარა ფანჯრებზე სქელი რკინის მესერებია გაკრული. გარედმიდან ორი სართულია შენობა. ჩვენმა მხლებელმა გუბერნატორის მოხელემ გააღებია დარაჯს დიდი კარები, რომელზედაც კლიტე ედო და რომელიც გაუქმებულია ეხლა.

კარების ორთავ მხარეს სქელ აგურის კედლებში სადარაჯო პაწია ოთახებია ამოყვანილი; ცოტას გასცდებით და ცარიელი დერეფანია; აქ კიდევ კარებია გასაღები და შედიხართ მოზრდილ ოთახში, რომლის ჭერი თაღებით არის გადაყვანილი, სამ-ოთხ ალაგას პაწია ჭუჭრუტანებია დატანებული სინათლისათვის. აქ საერთო ოთახია. იღება მეორე კარები გვერდზე და აქაც ასეთივე ოთახია, ორთავე ოთახის კარები იკეტება და შიგ დამწყვდეულები ბნელ სამარეში რჩებიან და სინათლე მაღლიდან ჩამოდის, რომლის შუქზე აჩრდილებივით მოჩანან ადამიანები!..

დერეფნიდან ვიწრო კიბე ადის მეორე სართულში; კიბის თავში სადარაჯო ორი პატარა ოთახია და შემდეგ რიგში რამდენიმე ოთახია, რომლის ფანჯრები ეზოს გაჰყურებს და რკინის მესერებით არის გაკრული. ეს ოთახები სიგძით 5—6 ფეხის ნაბიჯია და სიგანით 3—4 აქ „მაღალი პირები" იყვენ დატუსაღებული—მომიგო მოხელემ. ყველა ოთახს პატარა საცეცხლური აქვს საჭმლის გასაკეთებლათ. აქ ტუსაღებს ხაზინა არ ინახავს. იქ იჭერენ ისეთ პირებს, ვისაც დიდძალ ფულებს გამოართმევენ სიკვდილის შიშით, შემდეგ ისტუმრებენ და სანამ ზის ის თავის ოჯახმა უნდა შეინახოს. თუ დიდი დამნაშავეა, მას მოჰკლავენ წამებით, თუ დიდი მდიდარია, ან არა გავლენიანი პირი, მას შარს მოსდებენ: შენ სახელმწიფოს მოღალატე ხარ და ფულს გამოსტყუებენ; თუ ღარიბმა რამე დააშავა—მას დასჯიან, როგორც მოწინააღმდეგე მდიდარს სურს სასჯელი ისეთი იქნება.

გადასახადი ვერ გადიხადე, მდიდარს რამე დაუშავე, მოიპარე, ქალს შეურაცყოფა მიაყენე, ან მდიდარი ცუდათ მოიხსენიე და სხვა. უბრალო დასჯა: ხუთიექვსი კაცი მოკლე კეტებით იქნამდი სცემენ, სანამ მთელ სხეულს არ დაამტვრევენ, როცა გრძნობას დაკარგავს, წყალს გადაასხამენ და კიდევ სცემენ. ასე ნაცემი კაცი ვერც დაჯდომას ახერხებს, ვერც ადგომას, ტირის და საცოდავათ გორავს, იკლაკნება, ისინი კი ვინც ასე უმოწყალოთ. ცემს—თავს ადგანან, დასცინიან. თუ ბეჭედი, ფული, ან რაიმე სამკაული აქვთ კვლავ ცემას დაემუქრებიან და წაართმევენ. ჩვენ წავსწარით ასეთ გაჯოხვას, რომელიც ხელიდან გამოვგლიჯეთ და რომლის სიცოდაობამ, ღმუილ მუდარა ყვირილში ჭკაზე კინაღამ შეგვეშალა.

მეორე ნაირი დასჯა ასეთია: გაუკრავენ ფიცრებზე თითებს და ფრჩხილის ქვეშ გამხმარ ჩალამკალამს გუყრიან, ნუნებს ქვეშ, ტანჯვა შემზარავია და აუტანელი. გააკრავენ ხეებზე და სცემენ სახეში. ჯოხებით სცემენ ფეხის გულებში და სხვა დასხვა. ასეთ წამების შემდეგ გაუშობდენ. მათთვის შახი თავს არ იცხელებს ციხეში შესანახათ და იქ ისეთებს იჭერს, ვისაც რამეს ჩამორჩება, ან „დიდი კაცია".

მე გაგონილი მქონდა საიდუმლო სარდაფები ამ ციხეში და მოხელეს „ჩავაცივდი" ეჩვენებინა ის ჩემთვის, მან ჯერ უარი თქვა—აქ მეტი არაფერია, მარა ლაპარაკში ციხის მეთვალყურე ჩამოგვერია: არის ერთი ოთახი, მარა იმის ნახვა არ ღირს, ცუდი სუნი შეგაწუხებთო! მე სწორეთ ამით ვისარგებლე და მოხელეს ბრძანების კილოთი ვუთხარი, რაკი მასთან არაფერი გავიდა გამძღოლოდა წინ ულაპარაკოთ. ის დაიძრა და ისევ ძირის სართულში ჩამიძღვა.

ჩვენ გავიარეთ ნაცნობი ორი ოთახი, გავედით დერეფანში, იქვე ოთახს ფეხის ალაგის აქოთებულ ორმოს გაუარეთ, რომლის გვერდზე შევედით პატარა ბნელ გამოქვაბულში. აქ სიბნელის გამო ძლივს არჩევთ საგანს. დარაჯმა დაიჩოქა, ერთ ფიცარზე დაჭედილ რკინის სახელურ რგოლს ხელი მაგრა ჩაავლო და მიწის იატაკში ჩამდგარი სქელი ფიცარი ახადა, რომლის ქვეშ პატარა აგურისაგან ჩაშენებული კიბე გამოჩნდა. ჩვენ დარაჯი წინ ჩავიმძღვარეთ და ჩავყევით ამ ორმოს, საიდანაც გულშემომყრელი ნოტიო ჰაერი სუნთქვას გვიშლიდა სულს გვიხუთავდა.

ჩავედით გრძელ სარდაფში; ერთ მხარეს ამ ორმოს დასავლეთით გვერდზე პატარა სარკმელი ქონდა, საიდანაც სინათლის შუქი მკვდრის ფრათ ეფინებოდა... შუა ორმოს თხრილი აქვს გავლებული, რომელსაც დამწყვდეული ადამიანები ფეხის ადგილათ ხმარობდენ. დასავლეთ სამხრეთით განიერი ბუხარი იყო აყვანილი საჭმელის გასაკეთებლათ. გვერდებზე ჯაჭვის რგოლის მინალურსმი ეტყობოდა, რომელზედაც ადამიანები მიჯაჭული ყოფილა. აქ ამწყვდევდენ საშინლათ საწამებელ საცოდავ არსებათ და მათი შემაძრწუნებელი გმინვა-კვნესა ყრუთ რჩებოდა ამ სამარეში...

ჩვენში ხმარობს ხალხი: ტყავს გაგაძრობ, თვალებს მოგთხრი, ისე საქმეს გიზამ: ცალი თვალით გაცინებ, ცალი თვალით გატირებ! ყველა ამას უხსოვარ დროს ქონებია ალაგი ჩვენშიაც და აქ ამ ორმოში ეს სრულდებოდა სულ ამ რამდენიმე წლის წინეთ. აქ მართლა აძრობდენ ტყავს ადამიანს ცოცხლათ გამხეცებული და შურით ავსილი მეფემოლა ხანებიო! ჩვენ რამდენიმე წუთი ძლივს გავძელით ამ ორმოში, სადაც წამების მოგონებით ტვინი გეყინებათ და მთელ ტანში საშიში ჟრუანტელი გივლით!..

პირველ პარლამენტის მოპოების დროს ხალხმა ეს საშინელი შენობები გააუქმა, სატანჯველი იარაღები დაამსხვრია-დაალეწა და როდესაც კვლავ მოინდომეს მისი აღდგენა, როდესაც თავისუფალ მოაზრეთ აქ უპირებდენ ჩამწყვდევას, ხალხმა სამკვდრო სასიცოცხლო ომი გამოაცხადა, რომლიდან გამარჯვებული გამოვიდა. ხალხმა მთელი ადერბეიჯანის პროვინციის სატუსაღოები, საწამებელი იარაღები დაანგრია, დასწვა და თეირანისკენ იწყეს მზადება გასალაშქრებლათ, რომ გაენთავისუფლებიათ სატახტო ქალაქ თეირანის, რეშტა ყაზვინის თავისუფლებისათვის ჯაჭვებით და ხუნდებით ორმოში ჩაყრილნი მებრძოლნი.

თუ როგორი იყო თეირანის სატუსაღო, საწამებელი იარაღები და როგორი ხუნდებით იყვენ გაქაჩულნი მებრძოლნი, ამას შემდეგ წერილში დაინახავს მკითხველი.

გლახა მგელაძე.

## ზოგიერთების საყურადღებოთ.

1907 წლის ნახევარში რამდენიმე პირმა, რომელთა შორის ჩემი მახლობელი ამხანაგებიც იყვენ, მე გადმომცეს ამხანაგების მიერ შეკრებილი მასალა ბათომის ყოფების ქარხნების დაკეტვის შესახე 1905 წლს და ამასთანავე წინადადება მომცეს ეს მასალა დამემუშავებია და საზოგადოთ ხსენებ ქარხ. დაკეტვის მიზეზები გამომეკვლია. მე სიამოვნებით მივიღე ეს წინადადება, თუმცა კარგათ ვგრძნობდი ამ საქმის შესრულების სიძნელეს მრავალი მიზეზების გამო, რომელთა დასახელება აქ საჭირო არ არის. საქმის უფრო დაწვრილებით გაცნობის შემდეგ მე დავრწმუნდი იმაში, რომ ზემოხსენებული საგნის ცოტათ თუ ბევრათ საფუძვლიანათ გამორკვევა თხოულობს დამატებითი ცნობების შეკრებას როგორც ბათომის ქარხნების, ისე საზოგადოთ ნავთის მრეწველობის (ბაქოს) შესახებ ამაში ყველანი დამეთანხმენ, და ამასთანავე ბათომის ცნობების შეკრება ადგილობრივ ამხანაგებს დააკისრეს, რაც შეეხება ნავთის წარმოებას, სათანადო ცნობების შეკრება მე ვიკისრე. გარდა ამისა, რომ ამ საქმის რაც შეიძლება დაჩქარებით შესრულება არ დაბრკოლებულიყო, იმავე ამხანაგებმა რამდენიმე ხნის განმავლობაში იკისრეს ჩემი უზრუნველ ყოფა ნივთიერათ, რისთვისაც წინდაწინ გადმომცეს 50 მან.

ამნაირათ, 1907 წლის უკანასკნელ თვეებში მე შევუდექ მუშაობას, პირველათ მივადექი მასალების შეგროვებას და შესწავლას. ამ შესწავლის დროს მე დავრწმუნდი იმაში, რომ ბათომის ქარხნების დაკეტვასა და ნავთის მსოფლიო წარმოების შორის მჭიდრო კავშირი არსებობდა; ერთი სიტყვით, ადგილობრივ მიზეზების თუ ფაქტორების გარდა საჭირო შეიქნა მსოფლიო ბაზრის პირობების დაწვრილებით შესწავლაც. ყოველივე ეს იმ მცირე ხნის განმავლობაში, რომელნიც ჩემ განკარგულებაში იყო, თითქმის შეუძლებელი იყო. ამას კიდევ ზედ დაერთო ის გარემოება, რომ 1908 წლის დასაწყისშივე ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, მე იძულებული შევიქენი ეს შრომა შემეწყვიტა და მხოლოდ ამავე 1908 წლის ბოლოს შეძლება მომეცა იგი განმეახლებია და ისიც რუსეთის ისეთ მიყრუებულ ადგილას, სადაც რაიმე მასალის შოვნაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. მიუხედავათ ამისა, მე მაინც გადავწყვიტე იმ მასალის საშვალებით, რაც უკვე ჩემ ხელში იყო, დაპირებული საქმე შემესრულებია, მით უმეტეს, რომ ამხანაგებიდან განუწყვეტლივ ვღებულობდი წერილებს და მთხოვდენ შრომის დამთავრების დაჩქარებას.

გამუდმებული მუშაობის შემდეგ 1909 წლის მარტში ეს შრომა დავასრულე და დაუყონებლივ გავაგზავნე დანიშნულებისამებრ. რა თქმა უნდა, თუ რომ ჩემ განკარგულებაში ყოფილიყო, ერთი მხრით, მეტი დრო და, მეორე მხრით, მეტი მასალა, ხსენებული შრომა ბევრათ უფრო საფუძვლიანი იქნებოდა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში თავის შრომაში მე შევეც და ზევით დასახელებულ საკითხის გამორკვევისთვის მიმეცა რაც შეიძლება ობიექტიური ხასიათი და ამასთანავე ჩემს განკარგულებაში არსებული მასალა სავსებით გამომეყენებია. რა თქმა უნდა, მე აქ არ გამოვდივარ არც ჩემი შრომის დამცველათ და არც, მით უმეტეს, თავის თავის მსაჯულათ, მაგრამ საქმე ამაში არ არის: ხელნაწერის გაგზავნის შემდეგ ბათომში გავიდა სრული რვა თვე, და ჩემი შრომის შესახებ არა ვიცი რა, გარდა იმისა, რომ იგი მიღებულ იქნა დანიშნულებისამებრ და გარდაეცა კომისიას, სამი პირისაგან შემდგარს, განსახილავათ. მე არ ვიცი, რა ინსტრუქციით ხელმძღვანელობდა ან ხელმძღვანელობს ეს კომისია, მაგრამ წინანდელი პირობა კი სულ სხვანაირი იყო. მაგ., მე არ ვიცოდი და ჩვენ პირობაში არ შედიოდა ის, რომ ხსენებული შრომა მხოლოდ კომისიის საყურადღებოთ იწერებოდა. დღეს კი გამოდის, რომ ეს ასე ყოფილა... წინანდელი პირობა ასეთი იყო, რომ ეს გამოკვლევა არჩეულ პირების მიერ განხილვის შემდეგ დაუყონებლივ უნდა გამოქვეყნებულიყო არა მარტო ერთს, არამედ რამდენსამე ენაზე *), ე. ი. რუსულათ და ქართულათ. მაგრამ ვთქვათ, რომ კომისიამ ჩემი შრომა არ მოიწონა და მისი დაბეჭდვა უხერხულათ დაინახა, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც იგი ვალდებული იყო ეცნობებია ჩემთვის თავის შეხედულება, გაეკეთებია შენიშვნები, თუ სად ესაჭიროებოდა დამატება ან შეცდომის გასწორება, რაც ადვილი შესაძლებელი იქნებოდა. ავათ იყო თუ კარგათ, ამ შრომას საერთოთ მე მოვანდომე მე ერთ წელიწადზე მეტი და ისიც ამხანაგების წინადადებით. თუ ეს საქმე საჩქარო არ იყო და შეიძლებოდა მისი მთელი წლობით კომისიის ხელში გაჩერება, მე რათ მაჩქარებდენ, როცა ეს სიჩქარე გამოკვლევის ღირსებაზე ცუდათ მოქმედებდა. გარდა ამისა, თუ რუსულათ ვერ მოახერხეს გამოქვეყნება, ქართულათ ხომ შეიძლებოდა მისი გამოქვეყნება ნაწილ-ნაწილათ რომელიმე გამოცემაში ან ცალკე ბროშიურათ. დასასრულ, დაინტერესებულ ამხანაგებს ვეკითხები: როდემდის იქნება საქმე ასეთ გამოურკვეველ მდგომარეობაში? ასეთ შრომას უფრო დროებითი ხასიათი აქვს, და როცა დრო გაივლის, ინტერესიც ნაკლები იქნება.

თუ კომისიას დღემდე არავითარი რეალური ზომები არ მიუღია სულ ახლო მომავალში ჩემი ხელნაწერის გამოსაქვეყნებლათ, დაუყოვნებლივ დამიბრუნონ მე იგი უკან, ვინაიდან შავი მე არ მომეპოვება. მაშინ მე ვიკისრებ სადმე მის გამოქვეყნებას.

ფ. მ—ძე.

*) შრომა დაწერილია რუსულათ ამ სათაურით: Нефтяная промышленность и Батумскій локаутъ.

# უკანასკნელი ფოსტა

### საზღვარ-გარეთ

**ლოიდ-ჯორჯის [illegible]** ... რჯი დაულალავათ ეწევა აგიტაციას ინგლისში და დიდ [illegible] მომხრეებს იძენს. 21 დეკემბერს ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ ბიუჯეტიდან 9 მილიონი უნდა გადაიდოს მოხუცებულთა პენსიისათვის, ღარიბთა დასახმარებლათ—ორი მილიონი, უმუშევართათვის—3 მილიონი და დასნეულებულ მუშათა დასახმარებლათ—4 მილიონი გირვანქა სტერლინგით.

**მუშათა პარტია და პროტექციონიზმი.** ინგლისის მუშათა პარტიის დეპუტატმა ანდერსონმა „რუს. სლ."-ს გადმოცემით, მოწოდება გამოაქვეყნა თავის ამრჩევლებისადმი. ანდერსონი აღნიშნავს, რომ მუშათა პარტიამ საკანონმდებლო მოქმედებაში პრაქტიკული გამოცდილება შეიტანა, რომელსაც დიდათ აფასებენ ყველა პარტიები. პროტექციონიზმის პოლიტიკაო,--დასძენს დეპუტატი--გადასახადების მთელი სიმძიმის ღარიბებზე გადატანას მოასწავებსო.

**მოძრაობა ისპანიაში.** პარიზიდან მიღებული ცნობებით ისპანიაში აგიტაციას ეწევიან საერთო გაფიცვის გამოცხადების სასარგებლოთ. აგიტაციას ყველაზე ენერგიულათ მუშები ეწევიან. დახურულია ბევრი ქარხნები. „ბირ. ვედ."-ს გადმოცემით, ბარცელონის საკრებულო ტაძარში წირვის დროს პეტარდები ისროლეს. პეტარდების აფეთქებამ მლოცველები ძალიან დააფრთხო.

### ოსმალეთი

**საპროტესტო მიტინგი.** სოფიიდან „ბირჟ. ვედ."-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ ოც დეკემბერს იქ გაიმართა მაკედონელ ემიგრანტების კავშირის მიერ მიტინგი, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. კრებამ მსჯელობა იქონია მაკედონიაში ბოლგარელების შესახებ და საპროტესტო რეზოლიუცია გამოიტანა ოსმალეთის მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ. სოფიაში მაკედონიის ყოველი კუთხიდან დეპეშებს ღებულობენ ბოლგარელების დატუსაღების შესახებ, რაც დიდ აღშფოთებას იწვევს ხალხში.

**შკოლების დახურვა.** ბელგრადიდან იტყობინებიან, რომ ოსმალეთის ადმინისტრაციის განკარგულებით დაიხურა ბოლგარელების ყველა შკოლები. ოფიციალური ცნობებით შკოლების დახურვა გამოუწვევია გადამდებ სენის გავრცელებას მოწაფეებში. სხვა ეროვნებათა შკოლებში სწავლა ნორმალურათ სწარმოებს.

### შორეული აღმოსავლეთი.

**მდგომარეობა ჩინეთში.** ამას წინათ ბოროტ-გამზრახველმა მუცელში მძიმეთ დასჭრა ჩინეთის პრინცი-რეგენტი ჩუნცინ ვანა. ექიმების ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა, პრინცი გარდაიცვალა. „უმაღლესი საბჭო" სასახლის ერთ-ერთ შენობაში გადასახლდა და იქ მსჯელობს ჩინეთის მომავალ ბედზე. პეკინში თავი მოიყარეს პროვინციალურ პარლამენტების წარმომადგენლებმა. კანტონის, ხუნ-ნანის და შანხაის ვიცე-კოროლებმა თან ოცი ათასი მცველი მოიყოლეს. სამხედრო მინისტრმა და პეჩილიის გუბერნატორმა პეკინში თავი მოუყარეს ჯარებს ყველა მახლობელი ქალაქებიდან. დიპლომატების აზრით პრინც-რეგენტის სიკვდილს დიდი არეულობა მოყვება ჩინეთში. ტიან-ძინში რამოდენიმე დღის წინათ აღმოუჩენიათ იარაღის დიდი საწყობი. დაუჭერიათ რევოლვერები, ვინტოვკები და ოთხი ტყვიისმტყორცნელი. ჩინეთის მეზღვაურებშიაც უკმაყოფილებამ იჩინა თავი. „რ. უ." გადმოცემით ჩინეთის ნაპირებზე იაპონიის ესკადრა მიმდგარა.

### რუსეთი.

**სახ. დუმის არჩევნები.** როგორც ვიცით, დეპ. ა. ბროდსკიმ სახელმწიფო დუმის დეპუტატობაზე უარი განაცხადა. ადესის პროგრესიულ ამრჩევლებს გადაუწყვეტიათ მის მაგიერათ ახალ არჩევნებზე წამოაყენონ ნაფ. ვექილის ფ. ნ. ლიტვიცკის კანდიდატურა. ლიტვიცკი პროკურორის ამხანაგათ ნამყოფია და ერთ დროს ადესის ლიტერატურულ-არტისტიული საზოგადოების თავმჯდომარეთ იყო. ლიტვიცკი კონსტ.-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნის.

**სამი წლის დამნაშავე.** დვინსკის სასამართლოში გაირჩა გრინევიჩის ქალის საქმე. მას ბრალდებოდა თავისი მდგმუ-

რების გაქურდვა. საქმის გარჩევის დროს გამოირკვა, რომ დამცველი პოლიციის უფროსს საქმის გამოძიების დროს გრინევიჩის სამი წლის ბავშვიც კი დაეტუსაღებია და დაკითხვა მოეხდინა. სასამართლოს თავმჯდომარემ აღელვებულმა აღნიშნა ეს ფაქტი და განაცხადა, რომ დამცველი პოლიციის ასეთი მოქმედება ხალხს ნდობას უკარგავს სასამართლოსადმიო. სასამართლომ გრინევიჩის ქალი გაამართლა.

**რედაქტორის დატუსაღება.** ოდესის პოლიციამ დაატუსაღა „გოლ. ოდეს“-ის რედაქტორი რუტერი, რომელმაც, პოლიციის ნება დაურთველათ, გადასწყვიტა ხელზე გაყიდულ გაზეთის შემოსავალი უმაღლესი სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთათვის მოეხმარებინა. პოლიციამ გაჩხრიკა გაზეთის რედაქცია და ყველა თანამშრომლები. შეგროვებული ფული პოლიციამ წაიღო.

**უშიშარი გენერალი.** ოდესის „ჭეშმარიტ რუსთა“ უკანასკნელ კრებაზე თავმჯდომარე როდზევიჩმა მოხსენება წაიკითხა გენ. ტოლმაჩევის შესახებ დუმაში შეტანილ შეკითხვაზე. კრებამ ერთხმათ დაადგინა: „ოდესის მცხოვრებთა“ სახელით ნდობა გამოუცხადონ ტოლმაჩევს და მემარჯვენე დეპუტატებს სთხოვონ დაეხმარონ გენერალს. კრებამ გამამხნევებელი დეპეშა გაუგზავნა გენ. ტოლმაჩევსაც. ტოლმაჩევმა პასუხათ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: არავითარ რევოლიუციონერ კადეტების ცილის-წამებას არ შეუძლია ჩამადენიოს მეფისა და სამშობლოს ღალატი, თუნდა ამისათვის ყუმბარებისა და ტყვიების დახმარებასაც მიმართონ.

**პოლიციელთა გაძლიერება.** უმაღლ. მთავრობამ ფინლიანდიის სენატს ნება დართო **1910 წ.** ჩვეულებრივ საპოლიციო ხარჯს მიუმატოს **1,600,000** მარკა ფინლიანდიის ქალაქებში პოლიციელთა რაზმების გასაძლიერებლათ.

**12 ს. დ. საქმე.** პეტერბურგის სასამართლომ გაარჩია **12** ს. დ. საქმე, რომელიც ფსიხონერვოლოგიურ ინსტიტუტში იყვენ დატუსაღებული კრების დროს. **8** ბრალდებელს სასამართლომ გადასახლება გადაუწყვიტა ყოველი ღირსების ჩამორთმევით, სამი გაამართლა, ერთის საქმე გამოყო.

# წერილი ხარბინიდან

(შემდეგი)

მრეწველს, ფეხებზე კიდია სამშობლო ქვეყნის მუშა და მისი ინტერესები. ვინც მასთან უფრო იაფათ იმუშავებს და მონურათ მოუხრის ქედს, მას აქვს ყოველთვის ადგილი მის წარმოებაში. სამშობლო ქვეყანა და ერი მაშინ მოაგონდება მას, როცა მის ჯიბეს უცხო ქვეყნის კაპიტალისტებისაგან რაიმე საფრთხე მოელის, ის ამ დროს აცხადებს „სამშობლოს განსაცდელში“-აო და მოითხოვს უცხოელების წინააღმდეგ ზომებს, როგორც ეს მოხდა შორ. აღმ. ამას წინად ვლადივოსტოკში და სხვაგან პორტოფრანკოს დახურვის შესახებ, რის გამოც იძულებული ხდებიან იაპონელები და სხვ. უცხო ერის ვაჭარ-მრეწველნი შეწყვიტონ წარმოება ზემოთ დასახელებულ ადგილებში. მოვიყვანთ ორიოდე მაგალითს: როდესაც ამურის რკინის გზის ხარჯი დაამტკიცეს თან ისიც დაადგინეს, რომ ეს გზა როგორც სტრატეგიული მიზნით გამოწყებული, მარტო რუსეთის ქვეშევრდომ მუშებმა უნდა ააშენონო, მაგრამ რას ვხედავთ დღეს? სადაც კი დაიწყო მუშაობა ამ გზაზე, ყოველგან აუარებელი ჩინელი, კორეელი და იაპონელიც მუშაობენ. ვლადივოსტოკის და ხაბაროვკის (მდინ. ამურზე) სამხედრო ნავთ-სადგურებში, რომელთა ახლოს გავლაც კი სასტიკათ აკრძალულია უცხოელისთვის თითქმის სულ ჩინელი, კორეელი და იაპონელები მუშაობენ. ვინ იცის მათში რამდენი გადაცმული სამხედრო ჯაშუში იქნება ადგილ-მდებარეობის ყოველ კუთხის შესასწავლად, რაც არა ერთხელ აღნიშნა ადგილობრივმა პრესამ, ისინი რუს-მუშებზე ბევრათ იაფათ მუშაობენ. ხარჯი დიდია დამტკიცებული აქ ცოტა დაიხარჯება და დანარჩენს კი დიდი და პატარა „გმირები“ თავიანთ ჯიბეებში ჩაიჩხრიალებენ. ბაიკალის გადაღმა რკინის გზა, მანჯურიის და უსსურიის რკ. გზები დეფიციტს იძლევიან. რატომ? რატომ და შემოსავალი რკინის გზის „კაროლებმა“ ჩანთქეს. იმსჯელეს თუ როგორ დაფარონ დეფიციტი და მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ შეამცირონ დაბალ მოსამსახ. შტატი, დაუკლონ ჯამაგირები იმავ დაბალ მოს., გამოართვან სწავლის ფული მათ ბავშებს, რომელნიც უფასოდ სწავლობდენ დღემდე რკინის გზის შკოლებში და სხვ. ბევრი იძახეს პრესის საშუალებით თუ ისე ჩვენ სენატორის რევიზია გვინდა, ის გამოიკვლევს თუ ვინაა დეფიციტის მიზეზიო, მაგრამ ამაოთ, მათ ხმას არავინ აქცევს ყურადღებას, მათი არავის ეშინია დღეს, მათ წინააღმდეგ ჩინელ მუშათა „სარეზერვო არმია“ მუდამ მზადა ყავთ. აი მოკლეთ ის პირობები, რომელშიაც უხდება ყოფნა ეხლა-ხან ევროპიელ მუშას და ამგვარათ, რუსეთის სხვადასხვა ადგილებიდან მოხლავებულ მუშათა ერთი ნაწილი, რომელთაც საშვალება აქვს, ისევ უკან ბრუნდება, მეორე ნაწილი ავათ თუ კარგათ ახერხებს სამუშაოზე შერჩენას, მესამე ნაწილი, აქ იმედ-გაცრუებული, მიემგზავრება კიდევ უფრო შორს, ავსტრალიაში, წყნარ ოკეანეს სხვადასხვა კუნძულებზე და ამერიკაში. იქით ამათ მიერეკება ხარბინში და სხვა დიდ ცენტრებში დაარსებული მუშათა დამქირავებელი უცხოელთა კანტორები, რომელნიც დიდ უპირატესობას აძლევენ რუს მუშებს, მაგრამ რომ იტყვიან «ТАМЪ ХОРОШО, ГДѢ НАСЪ НѢТЪ»-ო სწორეთ ასე ემართებათ ამათ; უდიდესი ნაწილი ვერც იქ ეწყობა, რადგანაც სხვა მიზეზებს გარდა ერთი მხრით ენის უცოდინარობა (უმთავრ. ინგლის.) უჭირვებს საქმეს, უცხო ზნეჩვეულებებს ვერ ეგუება და მეორეს მხრით, რაც უმთავრესია, მეტის-მეტ ცხელ ჰავას ვერ იტანს და ასე იძულებული ხდება ისევ უკან დაბრუნდეს. ამ დავიდარაბის შემდეგ ზოგი უდროვოთ ესალმება წუთი სოფელს, ზოგი ყაჩაღათ გარბის და ზოგი კი სამუდამოთ ფიზიკურათ და ზნეობრივათ დაცემული ლიუმპენ-პროლეტარიატის რაზმში ეწერება. ამის გამო თითქოს გული შესტკივოდა რუსის ადგილობრივ მთავრობას და დარიგება გამოუშვა: ნუ მიდიხართ უცხოეთში, ნუ გაგიტაცებსთ უცხოელების დაპირებები, თორემ დაიღუპებითო. მაგრამ როდესაც მას ეკითხებიან, მაშ რა ვქნათო, იქ ის სდუმს.

თქმა არ უნდა, ეს მდგომარეობაც შეიცვლება, დრო მოვა ჩინელიც სავსებით შეითვისებს ევროპის კულტურა-ცივილიზაციას, შეიგნებს თავის უფლებებს და მაშინ ჯეროვანათ მოეწყობა საერთოდ მუშათა საქმე შორეულ-აღმოსავლეთში. თუმცა ამასობაში ჯერ კიდევ დიდი ხანი გავა, ბევრი მსხვერპლი შეიწირება, მაგრამ რა გაეწყობა? ქვეყანას, ცხოვრებას შენს ნებაზე ვერ წაიყვან, მას თავისი გზა და კანონები აქვს.

# პროვინცია

**ჩოხატაური.** 20 დეკემბერს ადგილობრივ სამინისტრო სკოლაში მოხდა საზოგადო კრება, რომელმაც განიხილა ორი საყურადღებო საკითხი: 1) გაიხსნას თუ არა ჩოხატაურში წ. კ. გ. ს. განყოფილება, რომლის მეჯარველობის ქვეშ უნდა გადავიდეს ადგილობრივი უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველო და 2) მოხსენება და განხილვა სამოქალაქო სკოლის გახსნის საკითხისა.

გაეცნო რა კრება ხსენებული საზოგადოების წესდებას და მიზანს, ერთხმათ დაადგინა, რომ გაიხსნას წ. კ. ს. განყოფილება ჩოხატაურში და ეხლანდელი სამკითხველოს წევრები ჩაირიცხონ საზოგადოების განყოფილების წევრებათ; სასურველათ დაინახა მხოლოდ, არსებულ წესდებაში შეცვლილ იქნეს ზოგიერთი მუხლები, როგორიც არის მაგალითად საწევრო ფულის შემცირება, მუდმივი (ე. ი. სამი წლით) თავმჯდომარის არჩევა რომელიც, თავმჯდომარეობს საზოგადო კრებას და სხვა, მაგრამ რადგანაც ამის შეცვლის ნება კრებას არ ჰქონდა, ამიტომ დაადგინა: წინადადება მიეცეს საზოგადოების წლიურ მორიგ კრებას შესცვალონ უვარგისი მუხლებით. *) სამოქმედო რაიონათ კრებამ განსაზღვრა ჩოხატაურის საბოქაულო. გამგეობა აირჩია ფარული კენჭის ყრით შვიდი კაცი, ექიმი მედ. არომაძე, გრ. თავდგირიძე, სერ. რუხაძე, მდ—ბი ბეს. დოლიძე და თომა მეგრელიშვილი, დიმ. გოტრიკაძე და ს. თავართქილაძე. შემდეგ გამგეობის თავმჯდომარეთ აირჩიეს ს. რუხაძე. სარევიზიო კომისიის წევრებათ; სამ. პაიჭაძე, აკაკი გაბისონია და ნ. ჩხიკვაძე.

შემდეგ მსჯელობა იქონიეს სამოქალაქო სკოლის გახსნის შესახებ. გამოირკვა, რომ სკოლის მთავრობა მოითხოვს საზოგადოებისაგან ხელმოწერილ „პრიგოვორს“, რომლის ძალით საზოგადოებამ უნდა მიიღოს თავის თავზე: ყოველ წლობით სასწავლებლის სასარგებლოთ გაიღოს ათასი მანეთი, დაუთმოს სკოლის შენობას მიწა და ააგოს ზედ შენობა. მთავრობა კი თავის მხრით მისცემს სკოლას ყოველ წლობით სამი ათას მანეთს და სასწავლებლის მოწყობილობას, როგორიც არის მაგალითათ: სტოლები, ქარტები და სხვა.

კრებამ კარგა ხნის მსჯელობის შემდეგ აირჩია კომისია შვიდი კაცისაგან და დაავალა: მისცენ წინადადება ყველა მახლობელ საზოგადოებებს, რომ თვიანთ საზოგადოებებში აირჩიონ კომისიები, რომლებიც შეერთებულ კრებას მოახდენენ ჩოხატაურში და შეიმუშავებენ მთავრობასთან წარსადგენ ოქმს.

თუ ჩოხატაურის საბოქაულომ ამ საკითხში ერთი მეორეს მხარი დაუჭირა, წლიწადში ათასი მანეთის გადახდა არ გაუჭირდება, რადგანაც თვითეულ მოსახლეს ხუთი ექვსი შაურის მეტი გადასახადი არ შეხვდება; მომავალში კი გადასახადი ყოველ წლობით იკლებს, რადგანაც ამ ათას მანეთში შევა მოსწავლეების სწავლის ფულიც, რომლებიც გადაიხდიან იმდენს, რამდენსაც სასკოლო კომისია დაადგენს. ასე რომ, სრული იმედი გვაქვს სწავლის მოყვარული გურულები უკანასკნელ დუკმასაც კი არ დაიშურებენ ამ სიმპატიური საქმისათვის, რადგანაც იმათ შეეძლებათ თავიანთი შვილებს თავის ეზოში გაათავებიონ სამოქალაქო სასწავლებელი, რაც გაცილებით იაფათ დაუჯდება ვინემ უჯდება დღეს შვილების აღზრდა, ან სრულიად უსწავლელი ურჩებათ...

ამასთანავე ისიც უნდა დავსძინოთ, რომ სკოლის შენობის საძირკვლის ჩაყრის შემდეგ, თითონ მიიღებს მთავრობა თავის თავზე მის დასრულებას, ხოლო თუ საზოგადოებამ ამაზე ეხლავე ზომები არ მიიღო, ადვილი შესაძლებელია ის სამი ათასი მანეთი, რომელიც ჩოხატაურის სკოლისათვის არის გადადებული, რომელიმე სხვა სკოლას გადასცენ და მით რამდენიმე წლობით მაინც შეჩერდეს ჩოხატაურში სამოქალაქო სკოლის გახსნა.

იმედი გვაქვს, როგორც კომისია, ისე საზოგადოების ცოტათი მაინც შეგნებული ნაწილი, ენერგიულათ მოჰკიდებს ხელს ამ საქმეს და ეცდება მის სასურველათ დაგვირგვინებას. ს—ლია.

*) წესდების ერთი უხერხული მუხლის შეცვლა ქ. შ. წ. კ. გ. საზ. მორიგმა წლიურმა კრებამ უკვე უარჰყო. რედ.

# მუშათა შორის

**ფოთი.** მგონია არც ერთ ქალაქში ისე თავაშვებულათ არ მოქმედებენ ვაჭრები თავიანთ მოსამსახურეების წინააღმდეგ, როგორც ფოთში. სკმათა უბრალო მიზეზი, ან სულ არა, რომ უგრომ-უკაშეიკოთ ქუჩაში გამოუძახონ. საბრალო შეგირდებს არ აჭმევენ, იმსახურებენ, როგორც უნდათ და შემდეგ, როგორც მოუსურვებათ ქუჩაში ისტუმრებენ. დასამტკიცებლათ მოგვყავს მაგალითი; ვაჭარ გ. ცაგას და მის ამხანაგს კს. კვარცხავას ყავდათ აყვანილი შეგირდათ 15—16 წლის ბავშვი, ერთი წლის შემდეგ უნდა დაენიშნათ ჯამაგირი. წელიწადი თითქმის დაჭყო ემსახურა ხაზეინთან, ვაჭრობას მალე მიეხვია, რადგანაც წლოვანობაც ხელს უწყობდა, ხაზეინიც მადლიერი იყო, სანამდის შეგირდის ჯამაგირის დანიშვნის დრო დაუდგებოდა, ის იყო გადიოდა წელიწადი, ხაზეინმა რადაც სხვანაირი თვალით დაუწყო ყურება. მოუხშირა ლანძღვა-გინებას და ცემას. ერთხელ შუა ბაზარში სასტიკათ ცემა. მიზეზი ის იყო, რომ ხაზეინმა გაგზავნა ბავშვი, ფული გადაეხდევინებინა ვიღაც ვაჭრისთვის და თანაც უთხრა, სანამდის ფული არ მოგცეს არ მოშორდე, უფულოთ არ დაბრუნდეო, ბავშვმა ფული ვერ გადაახდევინა და უფულოთ ვერ ბრუნდებოდა ხაზეინთან რადგანაც აგრე ქონდა ნაბრძანები. ამ მიზეზით გაგდო ბავშვი შუაგულ ზამთარში ფეხშიშველა, თავშიშველა, ტიტველი, სიცივით სულ კანკალებდა, გინდ ბავშვი დაუყენა იმას კი ხაზეინები ეუბნებოდენ: ბავშვს ჩვენ არ უშვებთ მას ჩვენთან დადგომა არ უნდაო. ბავშვის სიტყვას ვინ მიაქცევდა ყურადღებას და ისევ დაუყენეს, მაგრამ ამაოდ. არ გასტანა ერთი კვირა ბავშმა ვერ გაუძლო ხაზეინების საქციელს და თვითონ თავი დაანება. ასე აღვირახსნილათ მოქმედებენ დღეს აქაური ვაჭრები. ვ. ჟვანია.

# თეატრი და ხელოვნება

**ჭიათურა.** ნ. გაბუნია-ცაგარლის იუბილეი. 20 ამ თვეს ადგილობრივ თეატრში გადაიხადეს ჩვენი სასიქადულო მსახიობის ნატო გაბუნიას 30 წლის იუბილეი. უნდა გულახდილათ ვთქვათ, რომ წარმოდგენას ნაკლებათ ედო სადღესასწაულო ელფერი, ადგილობრივ ძალებს სისუსტე ეტყობოდათ. ითამაშეს „ხანუმა“. წარმოდგენის შემდეგ იუბილიარს სიტყვები წაუკითხეს სახ. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, დრამ. საზოგადოების წარმ., მუშების, ქალების და სახხელოს. მიართვეს საჩუქრებიც: ვერცხლის ნივთები და საჩხერიდან კონვერტით ფული. ხალხი ბლომათ დაესწრო წარმოდგენას, ტევა არ იყო. თან საგრძნობ უწესობასაც ქონდა ადგილი. წეს-რიგისათვის უნდა შევნიშნოთ ადმინისტრაციას შემდეგი: ყველგან თეატრში პრესის წარმომადგენელს თავის ადგილი აქვს, აქ კი ასე არაა: უთმობენ მხოლოდ თავისუფალ ადგილს და თუ უკანასკნელი არ იქნა, მაშინ სულ არაფერს. საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს. ვ—ი.

**ალაგირი** (თერგის ოლქი). კვირას, 13 დეკემბერს, ალაგირის ქართული სკოლის მასწავლებლის თაოსნობით და ქართულ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილ იქნა: „ფული და ხარისხი“ კომედ. 3 მოქ. ა ზაიანისა.

წარმოდგენამ მშვენივრათ ჩაიარა და დიდძალი ხალხიც დაესწრო: ოსები, რუსები და ქართველები. საზოგადოება დიდათ კმაყოფილი დარჩა. წარმოდგენის დროს ინციდენტიც მოხდა. რამოდენიმე ოსი მოგროვდენ და ცდილობდენ წესიერება დაერღვიათ და მით წარმოდგენის მწყობრათ ჩატარებისთვის ხელი შეეშალათ და ბოლოს კიდევაც მიაღწიეს მიზანს. ჩალეწეს ფანჯრები და ძალით შემოვიდენ 40—50 კაცი. ყვიროდენ, მღეროდენ ოსურათ. არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ მათ პოლიცია, თუმცა იქ იყო სამი თანაშემწე მამასახლისისა ოსი, რუსი და ქართველი, ოთხი სტრაჟნიკი და სხვ. საღამოს 7 ნახ. საათიდან 12 საათამდე მთელი ხალხი თავთავის ადგებზე ისხდა. ანტრაქტის დროს ოსების შიშით გარეთ ვერ გამოდიოდენ. საჭიროა ადგილობრივმა პოლიციამ მიაქციოს ასეთ უწესობას ჯეროვანი ყურადღება.

დ. მეტრეველი *).

**ვერის სახალხო აუდიტორია.** შაბათს, 26 დეკემბერს ქართველ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქნა: 1) „ბრჭყალებში“, დრამა ურვიესი თარგ. და „ბაიყუში“.

ორივე პიესა სცენის მოყვარეებმა რიგიანათ ჩაატარეს. განსაკუთრებით კარგი იყო „ბრჭყალებში“ ირინე (ქ-ნი ანკარა). ეტყობოდა მას შეეგნო როლი და კიდევაც შეესწავლა. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ უფრო დრამატიულ მომენტში, როგორიც არის მაგ. უკანასკნელი ახსნა ქმართან, ან შვილის პანსიონში წაყვანის შესახებ დავა, საჭირო იყო მეტი სიძლიერე, მეტი გამბედაობა და მეტი თავგანწირულება. ქ-ნ ანკარას თამაშის უმთავრესი ღირსება ის იყო, რომ ის შარჟს არ მიმართავს, ეტყობა, რომ ცდილობს გადაჭარბებას ასცდეს და რაც შეიძლება ბუნებრივათ ჩაატაროს თავისი როლი. ის კი ერთი უმთავრესთაგანია სცენაზე. ასევე ითქმის ბ-ნ ლეხურელზედაც (ფერგანი). მან იცის როლი და ამ როლს მეტათ ბუნებრივათ გადმოგვცეს, მხოლოდ როლის შინაარსის გამომხატველ თამაშს კი აქა-იქ სისუსტე ეტყობოდა. რამდენათ ბუნებრივი იყო ბ-ნი ლეხურელი „ბრჭყალებში“, იმდენათ ის აჭარბებდა «ბაიყუშში». მან ბევრი აცინა საზოგადოება; რომ აქა-იქ გადაჭარბებისათვის თავი დაენება, მისი თამაში ბევრ[illegible].

ქ-ნი გორელი (მარიამ, ირინეს და) შეუფერებელი იყო [illegible] როლისათვის. ეს როლი სულ არ არის მისი ამპლუა. ის მეტათ ახალგაზრდაა თავის როლისათვის. ამიტომაც იყო, რომ როცა ის ეუბნება ირინეს: «მე გაგათხოვეთ» და სხვა, დამსწრეთ უნებლიეთ სიცილი წასკდა. როლი რიგიანათ შეესწავლა მარა... ზეპირათ. რაც თავი და თავია სცენაზე—თამაში,—ეს არ იყო. რამდენათ სუსტი იყო ის «ბრჭყალებში», იმდენათ ის კარგი იყო «ბაიყუშში» (თალიკო) თუმცა აქა-იქ ცოტა არ იყოს აჭარბებდა. ბ-ნი ჭანკვეტაძე (დავერნიე) თავის როლში იყო და გრძნობიერათაც ჩაატარა, თუმცა ალაგ-ალაგ მეტათ ღელდებოდა და მით შეუფერებელ დრამატიულ კილოს ღებულობდა.

დანარჩენებიც საერთოთ, შეძლების და გვარათ ხელს უწყობდენ საერთო ანსამბლს. რომ სცენა და მისი მოწყობილობა ხელს უწყობდეს თამაშს, თქმა არ უნდა, წარმოდგენა უფრო მეტ შთაბეჭდილებას მოახდენდა. «ბაიყუშმა» ბევრი აცინა საზოგადოება.

სუფლიორის გადაჭარბებული ერთგულება თითქმის ანახევრებდა საერთო შთაბეჭდილებას. ბევრჯელ უყვირეს: «ტიშე», მარა ის მაინც თავისებურათ განაგრძობდა კითხვას და თავმომწონე შეგირდივით თანდათან უმაღლებდა ხმას. საჭიროა რეჟისორმა ყურადღება მიაქციოს ამას და თან იმასაც, რომ წარმოდგენა დროზე იწყებოდეს და დროზე თავდებოდეს.

აუდიტორია სავსე იყო. ზოგიერთებს მეტათ შეუფერებლათ ეჭირათ თავი, რაც შეუწყნარებელია. საჭიროა თეატრის ადმინისტრაციამ დარიგებით, ახსნა-განმარტებით იმოქმედოს ასეთ დამსწრეებზე. დამსწრე.

*) რადგან ალაგირიდან ფოსტა ყოველ დღე არ გადის, ეს წერილი დაგვიანებით იგზავნება. დ. მეტ.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი


გამოცდილი

# მასწავლებლები

ღებულობენ და ამზადებენ ქალ-ვაჟს დაბალ და საშუალო სასწავლებლებისთვის:—გიმნაზიისთვის, რეალურ, კომერციულ, სამასწავლებლო სემინარიისთვის, ტეხნიკის, საფერშლო, სამოქალაქო, სასულიერო სასწავლებ., ამზადებენ ყველა ხარისხის ჩინზე, ერთ-და ორ-კლასიან სამასწავლებლო ხარისხზე. ღებულობენ ანბანის უცოდინარ ბავშვებსაც. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე თავდება საღამოს 8 საათ. იღებენ მოსწავლეებს პირობებითაც. სწავლის ფასი ყველასათვის ხელმისაწდომია. მოლაპარაკება მასწავლებლებთან შეიძლება—7 იანვრამდის დილის 9 საათიდან—2 ს-მდე. 7 იანვრიდან ნაშუადღევის 2 საათიდან საღამოს 6 საათამდე.

ადრესი: I-ая Тумановская ул. д. № 15 кв. 2.

მეცადინეობა იქნება,—ვაგზლის ახლოს, გორონცოვის ძეგლ. ახლო და ვერაზე. ღებულობენ-კი ზემოხსენებულ ადრესზე.

0—1

კახეთის მეღვინეთა ამხანაგობა

# ხირსა

გაიხსნა ოლგისა და ბელინსკის ქუჩების კუთხეში ტატო გაბაშვილის შენობის სარდაფში.

იყიდება ნამდვილი კახური ღვინო ძლიერ იაფად ბოთლი —15-დან—30 კაპეიკამდე. (0—2)

ქ. ბათუმში

ავეჯეულობის და ჭურჭლეულობის

მაღაზია

# კ. ა. მაჭარაძის და პ. ა. ჭეიშვილისა

ღონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა 21.

მაღაზიაში მუდამ არის **დიდის რჩევით** ყოველგვარი, ფარფორის, ფაიანის, ემალის და ნიკელის ჭურჭელი, საზღვარ-გარეთული და რუსეთის ლამპები, ბროლისა და შუშის ნაწარმოებნი, ყოველნაირი სპილენძის და ნიკელის სამოვრები, ბრინჯაოს ნაწარმოებნი, ნავთისა და თუჯის ფეჩები, სამზარეულოს და სტოლის სხვა და სხვა მოწყობილობა და ყოველნაირი საოჯახო ნივთეულობა. „ლინოლეუმები“, „კლიონკები“ და ლითონის გვირგვინები, ვენის რბილი და კარგი ავეჯი, კრაოტები ინგლისის და ვარშავის ფაბრიკებისა, საყინულეები, სარკეები და მატერიები ავეჯისთვის.

მთელ საქონელს, როგორც რუსეთის ისე საზღვარ-გარეთისას, ვღებულობთ პირდაპირ ფაბრიკიდან, იყიდება ერთად და ცალობით, **ფასები ხელმისაწდომია** ყველასთვის, რაშიც თითონ დარწმუნდება პატივცემული საზოგადოება, როცა ჩვენს მაღაზიაში ივაჭრებს. (0—6—15)


სტამბა ამხ. «შრომა» რუსის ქ., 8.